ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7345014

ნომერი: AR11072325

თარიღი : 01.01.2025

გაცემის თარიღი : 15.01.2025

გაცნობის თარიღი : 15.01.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ოქროყანა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა ბოჭორიშვილი პ/ნ 41001027703
- თბილისი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 დეკემბრის №7333055 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 1 იანვარს №AR11072325 განცხადებით მომართა ნიკა ბოჭორიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2024 წლის 30

დეკემბრის №7333055 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ვადის მითითების ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 დეკემბრის №7333055 ბრძანებით, №01.18.01.002.223 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა რეკრეაციული ტერიტორიის გამწვანებისა და სარწყავი მეურნეობის მართვის ცენტრის, ასევე სამეურნეო-ტექნიკური ნაგებობების რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა რეკონსტრუქციის ნებართვა. რეკონსტრუქციის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 30 დეკემბრიდან 2026 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2024 წლის 30 დეკემბრის №7333055 ბრძანებაში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მშენებლობის ვადა, კერძოდ „2024 წლის 30 დეკემბრიდან 2026 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით“ ნაცვლად დაფიქსირდა „2022 წლის 23 მარტიდან 2023 წლის 23 მარტის ჩათვლით.". შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2024 წლის 29 ოქტომბრის №AR11063876 განცხადებით მოთხოვნილ იქნა რეკრეაციული ტერიტორიის გამწვანებისა და სარწყავი მეურნეობის მართვის ცენტრის, ასევე სამეურნეო-ტექნიკური ნაგებობების რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და რეკონსტრუქციის ნებართვის გაცემა. რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი საპროექტო/სანებართვო დოკუმენტაცია, მათ შორის მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი 24 თვეზე. სამსახურის 2024 წლის 30 დეკემბრის №7333055 ბრძანებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა - შეთანხმდა რეკონსტრუქციის არქიტექტურული პროექტი და გაიცა რეკონსტრუქციის ნებართვა, თუმცა ტექნიკური შეცდომის შედეგად ბრძანებაში სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების ვადა არასწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 დეკემბრის №7333055 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებასთან დაკავშირებით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 დეკემბრის №7333055 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
“3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 30 დეკემბრიდან 2026 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.“.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 დეკემბრის №7333055 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2024 წლის 30 დეკემბრის №7333055 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.